№2551 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

სოფელ მუცოში მდინარე მახკოლურაზე 100 კვტ სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემის შესახებ

ქვეყნისთვის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციისა და გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, გამარტივებული წესით გასცეს სოფელ მუცოში მდინარე მახკოლურაზე 100 კვტ სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**